



ილორი

www.ilorige



№ 67 (128) 18 მაისი 2010 სანჯალხო მთქრატობა "სამებრელთს" ორგანო 30 მმთრო

სარგანი ქრავლიოვი
ლავრენტი
-ბერიკა
 მეოხა საუკუნის
 საუკეთესო მენეჯერი



4

ბაზეთი "ილორი" უპლვბა რზბრბას "მს(ო)ზლი(ო)ს დიდი ფეხბურთელბები"



ჟოზე ალტაფინი,
 ამანსიო ამარო ვარელა,
 ამარილდო ამარუ ტავარეში,


12

მხიბლავს
"ილორის"
იღუპალი
სვლა

სვეტლანა კვიკვიჩია



3



მებრული
პოეზიის
რეფსოდია
კოეტი ლავა
ბახარია

5

საით
მიისნკაჟოღნენ
პროფოქართველბები?

კუკური ფიფია,



10

ხალხნო, შაჩერათ ეს
ულბი, უკანასკნელ
იხედსაჲ ნუ
გაღაბვიწურავთ!

6 დ. შოთაძე, კობლენცი, გერმანია



ნაბიჭვართა მოკალეზა საქართველოში

ნაბიჭვარი – ბუშის შობილი,
 ბუში – ბოზის შობილი, ბოზობით შობილი, ბოზობით შექმნილი.
 სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის განმარტება

თუ საკუთარ დედაში კახპის აღმოჩენის სურვილი დიდი შემოქმედებაა, როგორც ეს მიაჩნია დეისაძისთანა ტვინმოდრეკილ ზოგიერთ ვაიმწერალს, მართლაც მიგვიფურთხებია ამგვარი შემოქმედებისათვის! სწორედ ეს გახლავთ ცხოვრების ის "ამერიკული" ნორმა, რომელსაც ბრმად მიესწრაფვიან დღევანდელი მორალური კასტრატები და მათი იდეური ბელადები! მაგრამ, არც მთლად ბრმად ისწრაფვიან ისინი საწადელისაკენ, რადგან ამერიკელი თუ ევროპელი მასონები საკმაოდ დიდ ფულს ხარჯავენ საქართველოში ნარკომანიისა და სხვა ყოველგვარი სიმახინჯის დანერგვისა და მართლმადიდებლური ეკლესიისა და რწმენის მოშლა-განადგურებისათვის!

ახლა განრისხებულ თანამოქალაქეებს გაერიდა ეს მართლა სულიერი თუ ხორციელი ნაბიჭვარი დეისაძე და რომელიდაც სოფელში შეიმაღლა დამფრთხალ ვირთხასავით. კერძოდ რომელში, ხელისუფლების ჯიბის ტელევიზიები და გადაგვარებულთა საღაღობოდ ქცეული არასამთავრობოები საგულდაგულოდ ჩქმაღლავენ, რათა განრისხებულმა ხალხმა თავი არ გაუჭეჭყოს თავისი დედის საწოლისაკენ მღტოლველ არაკაცს, რომელიც მხოლოდ ზიზღსა და სიძულვილს იმსახურებს. მაგრამ, ადრე თუ გვიან, ხალხი ამ სოფლის სახელსაც გაიგებს, და თუ თანასოფლელები პასუხს არ მოსთხოვენ და არ მოკვეთენ ამგვარ არაკაცს, ისტორია ამ ადგილს მოისხენიებს როგორც უწმინდურ სულთა საგანეს!

8



2

მებრუღი პოეზიის რაფსოდია

გაზეთი "ილორი" აგრძელებს ლექსების ციკლის ბეჭდვას ცნობილი ქართველი პოეტის ლაშა გახარიას წიგნიდან "ირიათონი" (ბეჭილია-ნაბორდიშა).

სიტყვას სიტყვას ურსხუნდგ –
მეგეთ დო მეწორილო,
ირო წუწეულც მეწირგნდგ,
ვათქუანდგ მეწორილო.

ლადალცგ დო არგამასგ;
თიცალ ცელი გინუვალუ,
მუ გალედგ მაგანასგ?!

ჩქიმდე ცქვაფა ონჯლორე რე,
(მუს მუძინანც მუნაძინა)
წყურგილცალო მეკარკალანდ
ჩხონაფილიშ წკონდა ნინა;

კუჭუხაშე ქიგნაჯინგ
მუშ ნალგამა – ნაგამასგ,
წიარ ვემიოგორუანდგ
ინეფიში ნაგანასგ!

ჯას ბინეხო გაკარკატგდ,
კოთაკონკის უძგდ ბინა,
მევიდელეს თოლც ურძლანდგ
ტიანეფიშ ათოჯინა!

მარა ბედი... ხეწყარი რე –
ვაჭიშუა ბონუასგ!..
ყომურც ქუდოირგუანცგ დო
ვაგაცალენც ყონუასგ.

ზესკვიცალო მიაბირდგ–
კურკანტელა ქიანასგ,
ჩხვამა ჩხომო მონძედ ლერსი –
მორსას გინნარშიალასგ;

მუშ წონარო გილეებადალ,
შხვამის ვამიწონუანცგ,
დღაშის აკოლანდღუნსგ დო
ყორანც ქუმნგოყონუანცგ.

ართიანც ქუხუტოლუანდგ
კვირკვესგ დო იანარცგ,
მინდორს ვევიდირგდგ
შხვაში გინნადირასგ.

ართ ხეკულექ ჩხე ყალმენცგ
რვიდ თოლეფი ქიგნაწყურუ,
მუშ ქიანაშ ომხურეშა
მაზარ ნეერეფ ქგმაწურუ!

კანკანექ ქუბუბედგ
კაჭა-კვალა მელერსუა:
ჭყორეფგ ქგრი ქითხოზინეს,
ვეჩინესგ ჟინოსქუა.

ყურუ ხოლო ქუწყორუ დო
წკვერემც ციმბირ ქიგიონხურუ,
მაკუნხურო გილერქალგდ –
შინელამი ცოცხალ ღურუ!..

უკულ აკა ვაუბედგდგ

სიტყვას-სიტყვას მიაბამდა
ლამაზად და შეწყობილად,
აწონ-დასწონ-დაწურავდა,
არ იტყოდა არეულად.

ლადაესა და განქიქებას,
გადაავლო ცელი ისე –
ნამგალი არ სჭირდებოდა.

მე რომ ვაქებ, თან მრცხვენია,
(არც ჭირდება ბევრი ქება),
წყაროსავით რაკრაკებდა
ცხონებულის წმინდა ენა.

მწეგარიც ვერ მიაგნებდა
მათ გზასა და მათ ნაკვალევს,
სიყვარულით დაწყურებდა
თავის ნაღვაწს, თავის ნაშრომს.

ხეს ვაზივით ეხვეოდა,
კენწეროზე ჰქონდა ბინა,
უხაროდა მევიდელეს
ხელშეველება მტევნებისა.

მაგრამ ბედი-ხელისწყალი
არ დაგაცლის დაბანასა,
ტყემლის ხის ნერგს დაგირგავს
და –
არ დაგაცლის დამყნობასა.

ის შაშვივით უგალობდა
თავის ლამაზ ქვეყანას და –
მოწყვებოდა ლექსი ფაცერს,
როგორც თევზი ქვირითობას.

ბედი ნება-ნება დადის,
მას არ მოსწონს არაფერი,
დღის სინათლეს დაგობნელებს
და დაგისვამს ყორანს მხარზე.

ლექსში ერთ-ერთს ჩაახუტა
მკათათვე და იანგარი,
სხვის ნაძოგნა-ბალახარზე
არასდროს არ ბალახობდა.

მკლავხმელმა და გულბოროტმა
ჩიბუნს თვალი მიაშტერა
და თავისი ქვეყნის საწმყოს
მგლებს ხროვა მიუსია.

ზოგიერთმა გაუბედა
უსირცხვილოდ კაფიობა,
მწყრებმა ქორი აიკიდეს –
ვერ შეიცნეს დიდებულები,

უსწავლედიც და სწავლეულიც,
ყველა ციმბირს გაუყენა
და სიკვდილის მეკვლევ ძრწოდა
რუს შინელში შავი კაცი.

მერე ვეღარ უბედავდნენ

ერთი ტოკონომისა და რამდენიმე ბზარ-სახელის შესახებ

აბაშის რაიონის სოფელი სეფიეთი, ისტორიული წყაროების მიხედვით, ერთ-ერთი უძველესი და მჭიდროდ დასახლებული უბანი ყოფილა. იგი რაიონის ცენტრიდან 12 კილომეტრითაა დაშორებული და მარტვილისკენ მიმავალ საავტომობილო გზის გასწვრივ, მდინარე აბაშის სანაპიროზე მდებარეობს.



სოფელ სეფიეთის ტერიტორია მოქცეულია ძველი ლაზიკის სატახტო ქალაქ აქქოპოლისის (ნაქალაქების) მიდამოებში, საიდანაც იგი დაშორებულია 5-6 კილომეტრით. სოფლის სახელწოდება – სეფიეთი ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით მომდინარეობს ვინმე თავადის ქალ-სეფე ონიგავას საპატივცემულოდ, რომელიც საკმაოდ განთქმული მკურნალი და კეთილგონიერი ყოფილა.

რეგორც ცნობილია, ცივილიზებული ხალხებისათვის საცხოვრებელი ადგილის სიძველეს, მათ სიმდიდრეს, ტერიტორიის სიდიდეს, უმეტეს შემთხვევაში, განსაზღვრავდა გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები, კერძოდ, ნოყიერი ნიადაგები, გამდინარე წყლები, ტბებისა და ზღვის სიახლოვე, ნალექების წლიური რაოდენობის სიუხვე, მდიდარი ტყეები და სხვა. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა უპირველეს ყოვლისა მიწათმოქმედების და მესაქონლეობის ეფექტურ განვითარებას. ზემოაღნიშნული სასიცოცხლო პირობები სოფელ სეფიეთს მეტ-ნაკლებად გააჩნია. სოფელ სეფიეთის სიძველეზე მიუთითებს აგრეთვე მის ცენტრში ასწლოვან ცაცხვებისა და ჭადარბა სხეებით დაბურულ ტყე-პარკში აღმართული, მთავარანგელოზის სახელობის ამჟამადაც მოქმედი ეკლესია. ეს ქართული ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლი, დარგის ცალკეული მკვლევარებისა (ე. თაყაიშვილი, ი. მეუნარგია) და ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით, აგებულია ადრეულ შუა საუკუნეებში. ამ სამნავიან ბაზილიკას აქვს ერთი შეერილი, ნახევარწრიული აფსიდით, ნაშენია აგურით, ჩვეულებრივი, ნატეხი და თლილი ქვებით. საკურთხეველი მომრგვალებულია გარედანაც. აღმოსავლეთის მხრიდან, ზემოთ სახურავის შესაყართან ცხერის თავის გამოსახულება გამოძერწილი. შესასვლელი აქვს დასავლეთით. სამხრეთითა და ჩრდილოეთით ცხრა ფანჯარა გააჩნია. სამი – აღმოსავლეთით, ოთხი – დასავლეთით და თითო-თითო სამხრეთითა და ჩრდილოეთით. სოფელ სეფიეთის განკარგულებაშია სოფლის საკრებულო, დაწყებითა და საშუალო სკოლა, კულტსახლი, ამბულატორია, აფთიაქი, კავშირგაბმულობის განყოფილება, მაღაზია და სხვა.

მაკალათიას თავდადებული და თავგანწირული მოღვაწეობა, მას ელოდა სრული ლიკვიდაცია. სეფიეთის ეკლესიაში წირვა-ლოცვა აღსდგა ბოლო წლებში, მეუფეების ჭყონდიდელ მთავარეპისკოპოსის მეუფე გიორგისა და სუჯუნის ეკლესიის წინამძღვრის, აწ უკვე ვანი-ბაღდათის ეპისკოპოსის მეუფე ანტონის ძალისხმევით.

სოფლის მაცხოვრებელთა გადმოცემით, რამდენიმე საუკუნით ადრე, მოსახლეობას მოსდებია შავი ჭირი. ამ უღმობელმა და იმ დროისათვის განუკურნავმა სენმა სოფელი ძლიერ შეასუსტა – ნაწილი გაწყდა, ნაწილი კი სოფელი სამუდამოდ მიატოვა, მხოლოდ გადარჩენილთა მცირე რაოდენობა დარჩა ადგილზე. სოფლიდან გადასულთა ერთმა ნაწილმა საცხოვრებლად აირჩია მდინარე აბაშის მეორე მხარის ახალი ტერიტორია, რომელსაც "შნა დალს" (შავი ღელე) ეძახიან. მათ აქ აუშენებიათ ეკლესია-სალოცავები, რომელსაც დღესაც "ნაოხამუ" ეწოდება. ახლადდასახლებულ მიწაზე, სხვებზე უფრო გამდიდრებულან და გაძლიერებულან ძმები ონიგავები, რომელთა შორის მიზეზთა გამო მწვევე უთანხმოება ჩამოვარდნილა. კონფლიქტი იმდენად მწვევე ყოფილა, რომ ერთ მხას სოფელი დაუტოვებია და დასახლებულა კილომეტრის დაშორებით მცირეშიწიან აუთვისებულ ტერიტორიაზე.

XIX საუკუნის დასაწყისში, სეფიეთის მთავარანგელოზის ეკლესიაში მღვდლად უკურთხებით იოსებ მაკალათია, ცნობილი ფონოგრაფისა და ისტორიკოსის, პროფესორ სერგი მაკალათიას მამა. მამა იოსების თაოსნობით ეკლესიასთან დაუარსებიათ ორკლასიანი სკოლა, რომლის პირველი მასწავლებელიც თვითონ ყოფილა. აღსარების შემდეგ იგი ეკლესიის ეზოშია დასაფლავებული. შემდეგ, მარტვილის სემინარიიდან მოვლინებულ იქნა მღვდლად ვინმე ბოკუნავა, რომელიც ამჟამად ეკლესიის შენობის შიგნით განისვენებს.

გასაბჭოების შემდეგ სეფიეთის ეკლესიამ, როგორც სხვებმა, დიდი დევნა განიცადეს. რომ არა სერგი

სოფლის მოსახლეობის სიმჭიდროვეზე, სიმდიდრეზე და სიმდიდრეზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ეკლესიის დუღაბი გარდა კვირისა, კვირცხის ცილით ყოფილა შეხა-

მაკა ლაპარტყავა,
ასპირანტი, გაზეთი "დიოსკურია",
2007 წლის აგვისტო, №44
(დასასრული შემდეგ ნომერში)

რატომ ებრძვიან კოლხურ-იბერიულ ფასებს?

რაც შეეხება მოველნების შემდგომ განვითარებას, მოგახსენებთ, რომ ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს მიუხედავად მათი პასუხის საპასუხო წერილი, სადაც ვამხელდი მათს არაობიექტურობას და ვთხოვდი მოეცათ ჩემთვის საშუალება ინსტიტუტის სამეცნიერო სხდომაზე გამეკეთებინა მოხსენება თემაზე: „**ქართულ დამწერლობათა წარმოშობის საიდუმლოებანი**“ და იქ გაენიათ ოპონირება. განვუცხადე: შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში ჩემი საპასუხო წერილი მხოლოდ ჩვენ ორს შორის დარჩება საიდუმლოდ, არადა ამას სხვა მასალებსაც დავამატებ და საჯარო განხილვის საგნად გავხდები-მეთქი. მითხრა: განათლების მინისტრის მისამართით წერილი შე არ დამინერია, მხოლოდ ხელი მოვანერეო, ხოლო მოხსენების გაკეთებაზე ნებართვა სამეცნიერო საბჭომ უნდა გადაწყვიტოსო. შემდეგ პროფ. კ.კაკიტაძესთან მომიხდა გასაუბრება, რომელიც, როგორც ვეცნობა, განათლების სამინისტროს მისამართით გაგზავნილი წერილის ავტორი გახლავთ. მან, გალიზიანებულმა მითხრა: დაანებე ამ საქმეს თავი, ეს შენი საქმე არ არისო. უფრო ადრე, როცა ჩემგან გაიგო, რომ მამა-შვილმა ძაძამიძემამა გამოსცეს შეიღებულად, სადაც აღრიცხულია 102 მილიონზე მეტი ე.წ. მეგრული (იბერიული) სიტყვა, სასონარკვეთილი წამოხტა და გაბზარული, ტირილნარევი ხმით წამოიძახა:

– მოლაპატყა მამანტი ძაძამია!
ბ-ნი კოტე კაკიტაძე, ტ.ფუტყარაძე და თ.გვანცელაძე გამოდგნენ იბერიული ფსევდოს წინააღმდეგ ასე პირდაპირ მებრძოლი „გმირები“, თორემ უფრო „ჭკვიანნი“, ფარულად იბრძვიან დღემდე და ჩვენი საამაყო წარსულის გაყალბებას, რომ ახმარს ბევრი ჩვენი მეცნიერი უზარმაზარ ინტელექტუალურ ენერჯის, — ეს უკვე აშკარაა. ეს ენერჯია ორიენტირებული რომ იყოს ჩვენი მოსახლეობის ინტელექტუალური დონის ამაღლებასაკენ, ანგარიშგასაწევი ერი ვიქნებოდით, მაგრამ სამწუხაროდ, იგი საკუთარი ფესვების მოთხრას ემსახურება.

ჩემი მიგნებები ქართულ დამწერლობათა (მხედრულისა და ასომთავრულის) წარმოშობის შესახებ სპეციალისტთა მიერ რეცენზიის მიზნით გაეცნობის დროიდან განხილვის შემდეგ სამეცნიერო წრეებში, რადგან ამით მოლიანად უარყოფილი მეცნიერებაში და საზოგადოებაში გაბატონებულ არს ქართული დამწერლობის უცხოურიდან გადმოღობის შესახებ და წარმოადგენდა საიხლეს ვთავაზობდი საზოგადოებას. ამიტომ მაინტერესებდა სპეციალისტთა აზრი ჩემს აღმოჩენებთან დაკავშირებით, მაგრამ ისინი დუმდნენ და დღემდე დუმან, ალბათ, შოკირებულნი, იმის გამო, რომ ეს აღმოჩენები ეკუთვნის ოფიციალურად სპეც. სკოლაგაყვანილ მკვლევარს. მაგრამ ფარსმალა არ დამიყრია და ორჯერ გავაკეთე მოხსენება სოხუმის უნივერსიტეტში. წინაწარ, სათითაოდ ვთხოვე ყველა ერთ მეცნიერს (სოხუმის უნივერსიტეტში ვმუშაობდი და ყველას ვიცნობდი) დამსწრებოდნენ. თავიდან ყველა დამპირდა, რომ აუცილებლად დამესწრებოდნენ, მაგრამ მოხსენების დღეს აზრი შეიცვალეს და, სპეციალურად, აუცილობდა გამომიყვანს დერეფნის ბოლოს, რომ გაპარვა გაადვილებოდათ. ვინც მოხსენების დასწრებამდე ვნახე, ზოგმა გადაუღებელი საქმე მომიხეზა, ზოგი დამპირდა მოვალდობ, მაგრამ არ მოვიდა, გაიპარა, ხოლო ვინც იძულებული იყო ლექციების ჩატარების აუცილებლობის გამო ჩემი მოხსენების დაწყებამდე დარწმუნდითყვენ, გენახათ მათი საცოდაობა, რა სწრაფად და ფეხაკრეფით გადაიღწინდნენ მანძილს საპროფესოროდან სადარბაზომდე, რომ არ შემეშინია მათი გაპარვა. როგორც სოხუმის უნივერსიტეტში, ასევე, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არასპეციალისტები საქმოდ მესწრებოდნენ, მაგრამ სპეციალისტებმა არც აქ ინებეს მობრძანება.

რატომ გამიბრძვიან და რატომ არ შემოდინ დისკუსიაში? თუ ჩემი არგუმენტები არასწორია, რა უნდა მის უარყოფას? საქმე ისაა, რომ ჭეშმარიტების უარყოფა ნამდვილ მეცნიერს არ შეუძლია, ფსევდომეცნიერს კი აქვს უარყოფის სურვილი, მაგრამ არგუმენტები არ გააჩნია. ამიტომ არ შემოდინ დისკუსიაში, ამიტომ ამიკრძალებს ოფიციალური სპეც. სკოლის გავლა, რადგან ასეთ შემთხვევაში შევასრულებდი სადისერტაციო შრომას, დავიცავდი და შესაბამისად მოვითხოვდი სამეც-

ნიერ ხარისხის მინიჭებას და არ ექნებოდათ საფუძველი ეთქვათ, არაპროფესორნადავ. ამიტომ გადამიკვრეს გზა და ჩემი არგუმენტები კი არ უარყოფილა, არამედ „**პალეოგრაფიას არ იცნობს**“, — შემოუთვალეს განათლების სამინისტროს ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან და ჰგონიათ იპოვეს გამოსავალი.

ასეთი სპეციფიკული, ოფიციალურად არა, მაგრამ ფაქტურად მაღიარეს, ხოლო თავიანთ უსუსურობას და უხეირობას მკაფიოდ გაუსვდეს ხაზი. სამაგიეროდ ლუკმა შეინარჩუნეს, მაგრამ ასეთი ლუკმით არსებობას, ჩემი გადასახედებიდან, შიშობილთ სიკვდილი ბევრად სჯობია.

ჩემი მიგნებების ჭეშმარიტებას ვერ შეარყევე ვერავითარი მცდელობა, რადგან, გარდა შეუვალი არგუმენტების ფლობისა, მეტიც ვეკვრა, ჩემი ამ ქვეყნად მოსვლის მიზანი, სწორედ, ამ ჭეშმარიტებაში გარკვევა იყო. შეიძლება, მე ამ ქვეყნიდან წავალი აღმოჩნდებოდა, თუ რაღაც მიზნით ჩემი ისევ მოსვლა არ დაეცხებოდა იმ პერიოდს, როცა მეცნიერება, ადრე იქნება თუ გვიან, საქმოდ დამაჯერებლად ამოხსნის მიწიერ ცხოვრებაში გარკვეული მიზნით ადამიანთა მოვლის ჭეშმარიტებას, მაგრამ შეიძლება, ეს ერთგვარი ან-დედის მსგავსი ფრაზა „**წორმალური ადამიანის**“ პრეტენზიის მქონე პირთათვის არანორმალური და მიუღებელი იყოს, რადგან ამას შეუძლება მხოლოდ ის, ვინც შეუძლება ჭეშმარიტი ცხოვრების აზრს, რისთვისაც „**ღმერთმა შექმნა კაცი ხატად თვისად**“.

რა აზრი აქვს ისეთ მეცნიერებს და მეცნიერებს, რომლებიც საზოგადოების განვითარებას არ ემსახურებენ და თავის ხალხს აწვდის დეკინებულ, ცრუ და ცალმხრივ გაზვიადებულ ისტორიას? როგორ გინდა ქვეყნის პატრიოტი და თავდადებული მამულიშვილების აღზრდა, როცა მათ არასრულყოფილი ერის შვილი-ის სინდრომს უწოდებ? ლაღობი, სწორედ, ესაა და არა საკუთარი ერის უძველესი ფასეულობების წარმოჩენა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სიკეთისა და ბოროტების გარჩევა არც ისე ადვილი საქმეა და, მით უმეტეს, იძულებით ნასწავლ „**მეცნიერს**“ ხელი არ მიუწვდება.

ვინც ჭეშმარიტი ქართველია, ის კარგად აცნობიერებს კოლხურ-იბერიული ფესვებისა და წარსულის მნიშვნელობას ქართველი ერის გადარჩენა-განვითარებისათვის. ამიტომ ამ ფესვებს კი არ ებრძვის, არამედ ცდილობს ფარდა ახადოს გარეშე, თუ შინაური მტრების მიერ საუკუნოდ დაგვიტოვებდა საიდუმლოდ.

მ. და ვ. ძაძამიძის თანაავტორობა და შეიღებულად („**მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათ-წარმომავლობა**“) გამოცემაში საჭირო ხარჯების გადახდა იქისრა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ ვახანიამ.

ახლა უკვე ნათელია, რატომ ბრახობდა პროფ. კოტე კაკიტაძე- „**აგერა გვაქვს მამანტი ძაძამიას შეიღებულად, მაგის გამომცემლობა...**“ — ო, — და აგინებდა ბ-ნ ვახანიას.

ამის შემდეგ მალევე დააბაკტირეს ვლადიმერ ვახანია. ხომ არ სჭირთ ჩვენი სპეც. სამსახურის ხელმძღვანელებს ცუდი მხედრის სინდრომი „**ცხენს ვერ მოერია და უნაზრს ამცირევენ**“? ისინი ან ვერ აცნობიერებენ რა არის ქვეყნის გადარჩენა-განვითარებისათვის სიკეთე და რა არის დამანგრეველი, ან კიდევ, თვითონ არიან შეიღებულად მტრები საქართველოში.

ენათმეცნიერების ინსტიტუტში კარგად იცნობენ მამანტი ძაძამიას შრომებს, რომელშიც წარმოჩენილია კოლხურ-იბერიული ფესვების დასაბამიერობა, რომელსაც კლანჭის გამოსადეგი ვერ უპოვეს და განუუმეებელი არიან. არადა შოკირებლად არიან, რადგან ის ანგრევეს ენათმეცნიერებაში გაბატონებულ ცრუ დოგმებს. ცრუ დოგმების დანგრევა ნიშნავს ბევრისთვის საარსებო საშუალებების დაკარგვას, ან, უკეთეს შემთხვევაში, მათი შრომების მაკულაქურად ქცევას. სამწუხაროდ, ასეთი ვიწრო გაგების „**მეცნიერები**“ ჰყავს დღევანდელ საქართველოს და ამიტომ ებრძვიან სიხლევებს მთელი ძალით, პირდაპირ თუ ფარულად, გარეშე თუ შინაური მტრები.

განვითარებულ ქვეყნებში, აშშ-ში, გერმანიაში და სხვაგან იციან ინტელექტის ძალა და ფასი. ამიტომ უქმნიან გონიერ, მოაზროვნე ადამიანებს საკუთარ პირობებს ცხოვრებისათვის, იხილვენ ნიჭიერ, შემეცნება-დაინტერესებულ ახალაგაზრდებს და სამარადისოდ იქ ამკვიდრებენ, ანუ ინტელექტისაგან ძარც-

ვავნ სხვა ქვეყნებს თავიანთი ქვეყნების საკეთილდღეოდ, ხოლო განუვითარებელ ქვეყნებში ებრძვიან ინტელექტს, აკონსერვებენ სიხლეს, რადგან ის ანგრევეს ცრუ დოგმებს და ცრუ დოგმებზე აგებულ სახელმწიფოებრივ სისტემას, ამიტომ ერევა პოლიტიკა სამეცნიერო საქმიანობაში. ერევა, რადგან მათ ვერ მიაგნეს (ალბათ, არც ცდილობენ) და ვერ დაამკვიდრეს ისეთი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობდა ყველა თავის მოქალაქეს სულიერ-ინტელექტუალური დონის ამაღლებაში და დაეხმარებოდა ღვთის ბოძებული ნიჭისა და ტალანტის, შესაძლებლობების რეალიზებაში, რომ თავიანთ ქვეყანაში დაამკვიდრონ ადამიანის ღირსების საკადრისი ცხოვრება. მაგრამ რაკი ვერ ახერხებენ უმაღლეს კანონზომიერებებთან შეთანხმებული, პარმონიული ცხოვრების წესისა და საზოგადოებრივი სისტემის შექმნება-შემუშავებას და დამკვიდრებას, მთელი შესაძლებლობით ებრძვიან ცრუ დოგმების დამანგრეველ სიხლევებს, რომ შეინარჩუნონ არშემდგარი სახელმწიფოს მმართველობა.

ახალი აღმოჩენების გამოცემით ამ ბრძოლაში ხელშეშლა ხომ არ არის ვლადიმერ ვახანიას დაბატონების მიხეზე? ცხოვრების დონე საქართველოში კატასტროფულად დაეცა. ასეთი შემზარავი შედეგი, სწორედ, იმით არის გამოწვეული, რომ სამეცნიერო წრეებშიც ვერ არჩევენ რაღაც სიკეთე და რაღაც ბოროტებას. ბევრს სიკეთე და ბოროტება აფრიკელი ჰოტენტოტების დონეზე ესმით.

თუ „**ქართლის ცხოვრებაში**“ მოთხრობილი ამბავს, რაიმე საფუძველი აქვს და ექვთიმე თაყაიშვილის ზემოთ აღნიშნული წერილი უსაფუძვლოა, ექვთიმე თაყაიშვილი სურენ აივაზიანი ხომ არ იყო ჩვენი „**გენიალური**“ მეცნიერები მასზე პასუხის გაცემით დამცირებულ-იყვნენ, რატომ არაზვიან გასცია პასუხი? მათი პასუხი ამ წერილის ჟურნალიდან ამოხევა იყო, რომ ისევ ჯიუტად გაეგრძელებინათ მხოლოდისათვის მინერო სიტყვებითა ისტორიული წყაროს რანგში გამოყენება. თავი რომ დაავანებოთ იმ ბოროტებას და ცოდვებს, რაც წარსულის გამოცდებულბება ჩაიძინეს, არ შეიძლება თვალი დაეხუჭოთ იმ დანაშაულის წინაშე, რაც მას საკუთარი ერისა და კაცობრიობისათვის მოაქვს. ქართველი ერის ტრაგედია, სწორედ ის არის, რომ ძვ.წალ-ის XV საუკუნის წინათ წარმოშობილი პრობლემის გადაჭრას, დღეს, XXI საუკუნეში იმდროინდელი აზროვნების დონეზე ცდილობენ, როცა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ გარკვეული აზროვნების დონეზე წარმოშობილი პრობლემის იმავე დონის აზროვნებით გადაჭრა შეუძლებელია.

რატომ ებრძვიან კოლხურ-იბერიულ ფესვებს?! რა პრობლემებს უქმნის ქართველ ერს იმის აღიარება, რომ ფესტოსის დისკოზე საგალობელი და ქართული დამწერლობანი (მხედრული და ასომთავრული) უძველეს იბერიულ ენაზეა შექმნილი? რომ შეიძლებოდა თანამედროვე ქართულ ენაზე ამ დამწერლობათა შექმნის დამტკიცება, რას ვკარგავთ ე.წ. მეგრულზე, როცა ქართული ენის ფუძე და ძირი მეგრულია, მაგრამ ეს შეუძლებელია. შეუძლებელია იმიტომ რომ, როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „**ქართულ ანბანთა სახელდებანი ქართული არ არის**“ (ივ.ჯავახიშვილი, 12 ტომეული, ტ. IX, 1996, გვ. 258). შეიძლება შეინყნარო, ყოველგვარი მოტივებისა და დასაბუთების გარეშე, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მხედრულისა და ასომთავრულის წარმოშობის შესახებ სიტყვის სწავლების ჯიუტად გაგრძელება, მას შემდეგ, როცა საკმაოდ არგუმენტირებულად დადასტურებულია ამ დამწერლობათა ეროვნულ ნიადაგზე წარმოშობის ჭეშმარიტება? როგორ დავიჯერო, როცა ღრმად ვარ დარწმუნებული ჩვენი მხედრული და ასომთავრული გამოყენებული პროტოტიპად უცხოურ დამწერლობათა შესაქმნელად, ხოლო ბნელი ძალები ცდილობენ ამ ჭეშმარიტების საწინააღმდეგო წარმოადგინონ ჭეშმარიტებად? დარწმუნებული რომ ვიყო, მხოლოდ ადამიანური შური ამოძრავებთ ამ ძალებს, რადგან ასეთ აღმოჩენას სამეცნიერო ხარისხის არმქონე მკვლევარი აკეთებდა და მათი ქმედება ზიანს რომ არ აყენებდეს ჩვენს საზოგადოებას, ერთ სიტყვასაც არ დავხარჯავდი, მაგრამ, როცა



ჭეშმარიტების გაცხადება, ზოგიერთების აზრით, ვითომცდა საფრთხეს უქმნის ქართველ ერს და ქართულ ენას, სინამდვილეში კი ამ ჭეშმარიტების დამალვა აყენებს ჩვენი ქვეყნის არსებობას ეჭვქვეშ, მე, ამ ქვეყნის შვილს მაქვს უფლება გავჩემო და მტრის ნების აღსრულებას გულგრილად დაველოდო? თუ ზემოთ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა გიჭირთ ვახტანგის მიმდევრებო, უპასუხეთ შემდეგს მაინც: რას იტყვიან ობიექტური მონემნი სუბიექტზე, რომელიც თავის ბაბუაზე მიუთითებს და ხალხს არწმუნებს ჩემი შვილიშვილიაო? ან რომელი წარმალურ შვილიშვილს მოუკლავს ბაბუა მისი ბუნებრივ სიკვდილამდე? ასეთი რამ გეჭირს ქართველებო და რატომ არ ვუფიქრებდით კოლხურ-იბერიული ფესვების წინააღმდეგ ბრძოლა, უძველეს და უპირველეს ქართულ დამწერლობათა ეროვნულ ნიადაგზე წარმოშობის უსაფუძვლო უარყოფა, ვისთვისაა სასარგებლო და ვისთვის კიდევ საზიანო?

ნუთუ, გგონიათ, სიტყვებზე აგებული ქვეყანა, მარად იარსებებს? მეზობელმა ქვეყნებმა, რომ არ იცოდეს, რა საკადრისია, მაგრამ, კიდევ ჰო, იცრუეთ ტომისა და ქვეყნის „**სასარგებლო**“, ხოლო, როცა მათ უკეთ იციან ჩვენი წარსული, ვიდრე ჩვენ, როგორ გინდათ მათ დაგინდონ, თუ არა მონობის ფასად, და არ გაეცნენ? დღეს ხომ მეცნიერება ისეა განვითარებული, საოცარი სიზუსტით არკვევენ, ლაბორატორიულად, ისტორიულ ძეგლებზე წარწერების შესრულების თარიღს. ჩვენ ვინი და რისი იმედი გვაქვს, როცა ფინიკიელებს გამოუშვარავეს ფალსიფიკაცია, რომლებსაც მითვისებული ჰქონიათ, თურმე, პირველი ანბანური დამწერლობის შექმნის პატივი მიუძღვნათ, ვითომცდა ძვ.წალ-ის მე-8 საუკუნეში ფინიკურ ენაზე შესრულებული წარწერის აღმოჩენის გამო, რომელიც შუა საუკუნეებში შესრულებული აღმოჩნდა? ჩვენ დავამტკიცებთ ბოლნისისა და იერუსალიმის ლაზთა მონასტერზე წარწერების მე-5 საუკუნეში ქართულ ენაზე შესრულების ჭეშმარიტებას, როცა ამ წარწერების შემსრულებლის ენა 95 % გასაგებია, ხოლო მე-11 საუკუნეში მცხოვრები უდიდესი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის ენა, სულ მცირე 60 % გაუგებარია?

მაინც რატომ ებრძვიან კოლხურ-იბერიულ ფესვებს?

ეს პრობლემა არამარტო მე, ბევრ დიდ მამულიშვილს აწუხებდა და აწუხებს დღესაც. საკმარისია გავისხენოთ აკაკი წერეთელი, რომელიც ე.წ. მეგრული ენის მნიშვნელობაზე მოძვედა მწერალ-მწიგნობრებს და ურჩევს მათ ჩვენს სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული უცხოური ლექსიკა, რომელიც „**ქურს ცუდად ეხირობა და გულს სწყინს**“ შეცვალონ მეგრულ ენაში „**ობოლ მარგალიტებად**“ შემონახული უძველესი სიტყვებით; ვლადიმერ ალფენიძე, რომელიც შეძრული იყო ქართველთა გულგრილობით კოლხეთის მიმართ, როცა იმავე კოლხეთზე უდიდეს ინტერეს ინენენ მსოფლიოს გამომჩინილი ადამიანები: ევრიპიდე, სენეკა, პეროლოტე, კანტი და მრავალი სხვა.

სხვის მიწა-წყალზე მხერამიპერობილ აგრესორს თავისი აგრესიის გასამართლებლად სჭირდება ჭეშმარიტად აბორიგენი მოსახლეობის არასრულყოფილების, მისი ენისათვის სხვადასხვა ენათა კონგლომერატის, ანუ ეროვნულად გამოურკვეველი ხალხის სტატუსის მიკერება.

კუჭური ფიფია,
მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო
მოღვაწეთა აკადემია
„ქალდეა“-ს და ფაჩისის მეცნიერებათა
აკადემიის წევრი

აღიარება აუსილავლად მოვია...



წარმოვიდგინო ქართველი მამულიშვილისა და თავისი კუთხის ღირსეული შვილის ბატონ მურთაზ ჯანჯღავას წიგნს "მეგრული ენის ფენომენი". წიგნის რედაქტორია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა, აფხაზეთის მეცნიერებათა და ფაზისის აკადემიების აკადემიკოსი, გიორგი ლეონიძის პრემიის ლაურეატი ჯემალ ჯინჯიხაძე. ავტორი დიდ მადლობას უძღვნის წიგნის გამოცემაში გაწეული გარკვეული ფინანსური დახმარებისათვის საქართველოს პარლამენტის წევრს, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას.

გახეთ "ილორის" მითხველებს ვთავაზობთ ამონარიდებს აღნიშნული წიგნიდან.

მბრძ, მბრძი, მარბარე

ბერძნულ წყაროებში კოლხთა მრავალი ტომია მოხსენებული, რომელთა ჩამოთვლას აქ არ შეუვლდება. ამ ტომთა დასახელებების სიმრავლე არ ნიშნავს იმას, რომ მათ განსხვავებული ენა ჰქონდათ. რუსეთში სლავური ტომები იყვნენ ვიკინგები, თოდორიტები, დრევილიანები, სევერიანები და სხვა. მაგრამ ისინი ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ. ასეთი მაგალითები ბევრია – ტომების ადგილის მდებარეობის და სხვა ნიშნების მიხედვით ერთი სატომო სახელები. კოლხთა მოდგმის ხალხს პელაზგების სახელი თქმულების მიხედვით მათი პირველი მეფის პელაზგის სახელისგან ეწოდათ. კოლხი როგორც

ვლადიმერ ალფენიძის ზემოთ აღნიშნულ წიგნშია ნათქვამი, ამ ხალხის მფარველ ღვთაების ყოლიხისაგან ეწოდათ. კოლხთა შთამომავლებს სვანები ხანს უწოდებდნენ. სპარსელები მეგრელებს ჰაგერს უწოდებდნენ. სპარსელები მეგრელებს ლახებს, ანუ ზღვისპირა მცხოვრებს ხალხს – ზღვის შვილებს ლეგენდის მიხედვით უწოდებდნენ. ტერიტორიას დალიდგინან სუფსამდე ეგრისი ეწოდება. მეშვიდე საუკუნეში, როცა ბიზანტიამ ეგრისის სამეფო გააუქმა, შემოდის ტერიტორია აფხაზი და მეგრული. სუფსიდან რიხემდე ტერიტორიას გურია ეწოდება და ესენიც ლახები, გნებავთ მეგრელები დაეუძახათ. ერთი ხალხი იყო. მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებშიც კი თურქეთის ლახები თავიანთ ხელმწიფედ დადიანს იხსენიებდნენ.

დალიძეიდან კვლასურამდე ტერიტორიას აფშილედი, ხოლო იქით აბაზგეთი ეწოდებოდა. ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნის რუკაზე, რომელიც კლავდიუს პტოლემეისგან შეადგინა, კოლხიდა ტრაპიზონის და ბიჭინთას იქით ვრცელდებოდა. ტუაფსეს წურწუხე ერქვა, რაც მეგრულად ტალახიან მიწას ნიშნავს, სოჭი ადიღელეუ-შაფსულურ ენაზე ხანაია, რაც სანების (ხანების) ადგილს ნიშნავს. რუსული სახელწოდება სონი სწორედ ხანაიდან მოდის.

რუსეთის მეფის პეტრე პირველის იმპერატორის ვ. ტატიშჩევი წერს, რომ რუსეთს სამხრეთით სამეგრელო ესაზღვრებოდაო. იმპერატორმა ეკატერინე მეორის დაგეგმვათა თასევიდას ოთხმოცდაცამეტე წელს შესრულებულ რუსეთის რუკაზე სამხრეთ საზღვრად სამეგრელო აღნიშნული. ლეონტი მროველის მიხედვით საეგრო მდინარე ყუბანთან ტრაპიზონის ფარგლებს მოიცავს ლის იქით. ათას სამას თერამეტი წელს იტალიელი მოგზაურის პეტრუს ვესკონტის მიერ შედგენილ რუკაზე სოხუმს პორტოს მენგრელოს აწერია, ხოლო დადიანის დროშია აღმართული მდინარე ყუბანის შესართავთან მდებარე მავრაჯის ციხეზე. შეიძლება ითქვას ანალოგიური რუკა აქვს შედგენილი გერმანელ ავტორს დოკუმს ათასსუთას ორმოცდაცხრამეტე წელს.

ჯ. კაკულიას ჩვენს მიერ ნახსენებ წიგნში აღნიშნულია, რომ აფხაზი არაბულ

ენაზე ნიშნავს წყლის ნაპირზე მცხოვრებს ხალხს, მაგრამ ასეთი ახსნაც არსებობს, რომ აფხა მეგრულად ბეჭია, ამიტომ აფხაზეთი სამეგრელოს ბუჭს ნიშნავს...

...საინტერესოა, რომ ჩერქეზები მეგრელებს დოლს უწოდებენ, ხოლო ყაბარდოელები – ურბებს. ჩრდილოეთ კავკასიელებს ქართველებს მოსოხს უწოდებენ. გრ. ნაზიანული წერს: "მესხიოს ეთნოს კოლხონი". მესხები ეთნიკურად კოლხები არიანო. გრ. ნაზიანული გახლავთ გრიგოლ დვთისმეტყველი. როგორც აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილში, ასევე მესხეთშიც მრავლადაა მეგრული ტოპონიმები, რაც განხილული აქვს პროფესორ თ. მიქელაძეს წიგნში "ძიებანი ძველი და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან". მდინარე მტკვრის სახელი მოდის მეგრული სიტყვა მტკვარუდან. დღევანდელი ახალციხის რაიონის მახლობელ ტერიტორიებზე უხვად არის მეგრული ტოპონიმები. ეს ფაქტიც მეტყველებს, რომ აქ მეგრულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობდა...

...ძველ ბერძნულ წყაროებში მოხსენებული მაკრონეს და მანრალეს ქართველი მეცნიერები მეგრელებთან აიგივებენ. ძალზე საინტერესოა მეცხრე საუკუნის ბიზანტიური ენციკლოპედიის და მეოთხრამეტე საუკუნის ბიზანტიური ისტორიკოსის კლავდიას ცნობები იმის თაობაზე, რომ ალბანელები მინკრელები არიანო. აქ მხედველობაშია მიღებული აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები ალბანელები. ასევე ძალზე საინტერესოა, თუ საიდან და როდის აღმოჩნდნენ ოლეღაც მეგრელები დაღესტანში პას-მაუბას რაიონში, რომლებიც ძალხებად იწოდებიან და იციან, რომ მეგრეთა შთამომავლები არიან. (უალრესად საინტერესოა ისიც, რომ ბატონი ანთორ შინაის მტკიცებით დაღესტანის დედაქალაქი "მახაჩკალა" მეგრულ ენაზე "მთონხელს" ნიშნავს – "ილორი").

მეტად საინტერესოა ათას ცხრაას სამოცდათექვსმეტე წელს გ. მახარაძის ავტორობით გამოცემული პატარა წიგნი "არდავიწყება მოყვრისა", რომელშიც აღწერილია ასეთი ამბავი: როცა ათას ცხრაას ოცდაცხრამეტე წელს საბჭოთა გეგმა, რომლის კაპიტანი იყო სიორიძე, მღვარა

ჩრდილოეთ აფრიკის ერთ-ერთ ნავსადგურში, იქვე მღვარა სხვა გემიც. იმ გემზე მტკვრეთავე მომუშავე ხანები იგინებოდნენ და ლაპარაკობდნენ მეგრულად. სიორიძის გადმოცემით მათი გვარები ყოფილა გუგუნარი და ჭანუყვარი. ისინი ჩრდილოეთ აფრიკის მაცხოვრებლები ყოფილან. ამ საკითხით დაინტერესებულნი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ილია ვეკუას პრეზიდენტობის დროს, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ჩვენმა მეცნიერებმა მხარდაჭერა ამ საკითხის შესასწავლად ვერ მიიღეს მოსკოვიდან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სატომო სახელე ეგრისიდან ეწოდა კოლხეთის გარკვეულ ტერიტორიას ვგრისი, ხოლო ეგრისის მაცხოვრებელს მეგრული. მეგრულის მეგრულ სახელწოდებასთან "მარგალთან" დაკავშირებით არსებობს ლეგენდა. ლეგენდის მიხედვით უხუცესების კრებაზე, ანუ საბჭოზე, რასაც მეგრულად "სხუნუ" ჰქვია, უხუცესებს გადაუწყვეტიათ მფარველობა ეთხოვით ვარსკვლავ "მარგალსათვის". მათ ეს თხოვნა ამცნვეს ვარსკვლავ "მარგარეს". "მარგარესთან" მათი მფარველობის შესახებ თანხმობა მიუღიათ. ამის შემდეგ ამ ხალხს ლეგენდის თანახმად ვარსკვლავ "მარგარეს" სახელიდან გამომდინარე, მარგალი ეწოდათ. პირველ-მეორე საუკუნეებში კი რომელემა კოლხებს, ე.ი. მარგალებს ლახი, ხოლო მათი გავრცელების არეალს ლახიკე უწოდეს. ერთ დროს ტუაფსესაც ლახიკე ერქვა, თუმცა ჩვენ მიერ ზემოთ ითქვა, რომ ტუაფსეს წურწუხე ერქვა და მისი მეგრული განმარტებაც (ტალახიანი მიწა) იქვე აღვნიშნეთ.

მეცნიერებაში მეგრეთა უძველეს წინაპარ ტომად თვლიან ქაშეებს. პროფესორ გრ. გიორგაძეს აღნიშნული აქვს, რომ "ქაშეა" ხეთურ ენაზე მთვარეს ნიშნავს. ავტორს ეს აღნიშნული აქვს ხსენებულ მოხსენებაში "მთავაში". საინტერესოა ისიც, რომ მეგრულად მშვილდს, რომელსაც მთვარის ფორმა აქვს, ქაშეილი ჰქვია.

მეტად სარწმუნოა ზვიად გამსახურდიას აზრი, ეგრისის სახელწოდება მომდინარეობდეს ორფოცის მამის ეგრის სახელიდან.

მურთაზ ჯანჯღავა
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

საერთაშორისო ორგანიზაცია ECA INTERNACIONAL-ის მიერ ჩატარებული კვლევებით, კოპენჰაგენი, ოსლო, ვენეცია, ციურიხი და ბაზელი მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ქალაქებია. მათ უსწრებენ ანგოლის დედაქალაქი ლუანდა და იაპონიის ქალაქები: ტოკიო, ნაგოია, იოკოჰამა და კობე. ძვირადღირებული ქალაქების „ტოპ ოცეულში“ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ბაქო აღმოჩნდა. ოცეულს მიღმა დარჩა თბილისი. აქედან გამომდინარე, ძვირადღირებული ქალაქის სტატუსი ოფიციალურად არ ეკუთვნის, თუმცა მის „მოსაპოვებლად“ თბილისს ყველა საჭირო პირობა აქვს. უპირველესად, სამომხმარებლო ფასების მაღალი მაჩვენებელი, რითაც ამა თუ იმ ქალაქის სიძვირე განისაზღვრება.

რაც უნდა გასაკვირი იყოს, სამომხმარებლო ფასების მიხედვით, საქართველო ამერიკის შეერთებულ შტატებსაც კი ბევრად უსწრებს. მაგალითად, 2009 წლის მონაცემებით, 100 კვტ/სთ ელექტროენერჯის საფასური საქართველოში 16 ლარია, აშშ-ში – 22,5 თეთრი; 1 ლიტრი ბენზინი 1,77 ლარი ღირს, აშშ-ში – 1,26 ლარი; ქართულ ბაზარზე 1 კვ ფრინველის ხორცი 6,5 ლარად ფასობს, ამერიკაში – 4,76 ლარად. ჩვენთან 10 კვრტცის ფასი 2,53 ლარს შეადგენს, ამერიკაში – 2,32 ლარია. საშუალო თვიური ხელფასი საქართველოში 560 ლარია (ასეთია ოფიციალური მაჩვენებელი. სამუშაო ადგილების დეფიციტის გამო კი, შეიძლება ითქვას, ეს მხოლოდ მშრალი სტატისტიკაა).

სინათლის ქალაქის ძვირი ყოველდღიურობა

ამერიკაში კი – 5500 ლარი. ექსპერტების განმარტებით, სიძვირე თბილისს ტრადიციულად მოხდგამს და ნებისმიერ დროს დედაქალაქში ცხოვრება გაცილებით ძვირი იყო, ვიდრე რეგიონებში. ეს სხვადასხვა ფაქტორებით არის განპირობებული.

თბილისი მსოფლიოს ძვირადღირებული ქალაქების კრიტერიუმებს აბსოლუტურად აკმაყოფილებს:

„მოსახლეობის უდიდესი ნაწილის შემოსავლების, მომსახურებისა და პირველადი მოხმარების საგნების, თუნდაც ფუფუნების საგნების (რომლებიც, ბუნებრივი ნორმალური ცხოვრებისთვის) ღირებულების ფარდობითი მაჩვენებლებით დღეს თბილისი მსოფლიოში ერთ-ერთი უძვირესი ქალაქია, – განაცხადა ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში ბატონმა დემურ გიორგენიძემ, – მოქალაქეთა უმრავლესობის ასეთი დაბალი შემოსავლები და ასეთი მაღალი სამომხმარებლო ფასები იმაზე მიუთითებს, რომ თბილისი კონკურენციას გაუწევდა ყველაზე ძვირ ქალაქებსაც კი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თბილისი ყოველთვის ძვირი ქალაქი იყო. უბრალოდ, დღეს ეს სიძვირე ჩაგრავს დედაქალაქის მცხოვრებთ, რასაც ისინი დიად გამოხატავენ.“

– ეკონომიკური თვალსაზრისით, სიძვირე საქართველოს დედაქალაქისთვის

დადებითი მოვლენა თუ უარყოფითი?

– მომსახურებისა და საქონლის სიძაფე არ არის პროგრესის მაჩვენებელი. მაღალი ფასები სულაც არ ნიშნავს მახრნობელა ბიზნესის არსებობას. ჩვენთან დარღვეულია პროპორცია. შემოსავლების არარსებობა განაპირობებს იმას, რომ ფასები მახრნობელა ხდება. მთავარია, ადამიანმა თავისი შემოსავლით შეძლოს სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ფასების გადაფარვა. მთავარია დასაქმება, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა და არა – ფასების შემცირება. თუ მოქალაქეებს ქმნებათ სტაბილური შემოსავალი და დანახოვის გაკეთების საშუალება, მაშინ სიძვირე ასეთი თვალში სცემი აღარ იქნება. შეერთებულ შტატებზე თუ ვსაუბრობთ, ის ფინანსები არაა და მიდარ მოსახლეობას შორის, როგორც ჩვენთან არის, არა მარტო აშშ-ში, არამედ არც ერთ ცივილიზებული ქვეყანაში არაა. ამას ხელისუფლებები არც დაუშვებენ.

– რამდენად მართებულად ხდება საქართველოში პროდუქტსა და სამომხმარებლო ნივთებზე ფასწარმოქმნა?

– საქართველოში პროდუქტზე ფასწარმოქმნის პროცესის მართებულობაზე საუბარი შეუძლებელია. ფასები მიშვეუვლია. მას ხელისუფლება და მთავრობა

არც აკონტროლებს და არც იცავს. ცივილიზებულ სამყაროში კი ამის დამცავი მექანიზმები არსებობს (მაგალითად, ანტიმონოპოლიური ორგანიზაციები, რომლებიც თავისთავად გარკვეულ ზემოქმედებას ახდენენ ამ პროცესზე). დასავლეთში არავინ დაუშვებს ფართო მოხმარების საგნებზე მონოპოლიას. ჩვენ კი ფსევდო-ლიბერალურ რეფორმებს ამოვეფარეთ და, ფაქტობრივად, რეფორმები იმ მიმართულებით გატარდა, რომ ე.წ. რეფორმის მაშემამა გააუქმეს ყველაფერი, რაც საკუთარ ბიზნესში უშლიდათ ხელს. დღეს საქართველოში ყველაფერი თავდაყირა დგას და ამიტომაც არის, რომ ფასწარმოქმნას ძლიერი ჯგუფები განაგებენ. საქართველოს მთავრობა კი ამაზე არაფერს ამბობს იმ მოტივით, რომ ის არაფერში ერევა. ეს კი ჩვენს რეალობაში სანაცლილოა.

– სახეზეა ლარის კურსის ინფლაცია, რასაც შესაბამისად პროდუქტებზე ფასების ზრდა მოჰყვა...

– ფასწარმოქმნის პროცესში ლარის კურსის ცვალებადობა ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს, მაგრამ დღეს არსებული ლარის ინფლაციაც ხელთონებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ამის არანაირი საფუძველი არ არსებობდა. ეროვნულ ბანკს ჰქონდა რესურსი, ზედმეტი ინტერვენცია განეხორციელებინა დოლარებში და კურსიც არ შეცვლებოდა. მაგრამ, როგორც ნანს, ეს ვიდალის ინტერვენციაში შედიოდა.

– ვის ინტერესებში?

– გვარსა და სახელს ნამდვილად ვერ გეტყვი; უბრალოდ, ამ პროცესის ანალოგიიდან გამომდინარე, მე ასეთი შთაბეჭდილება მექმნება.

ნანა ლალაძე / ილორი

კოლხეთი — ჩვენი სამყაროს კარიბჭე

გთავაზობთ ნაწყვეტს აკადემიკოს კლიმენტი შელიას წიგნიდან

იბერია იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე ლევან სანიკიძე

თურქი მოგზაური, ისტორიკოსი ევლია ჩელები “მოგზაურის წიგნი” წერს: “ლაზეთის დიდი ქალაქის, კეთილ-მოსწობილი ციხე-ქალაქის ტრაპიზონის მოსახლეობის უმეტესობა ლაზია”; ინ-გლისის კონსული თურქეთში ჯ. პალგრევი წერს: ტრაპიზონის ვილაიეთში “მუს-ლიმური მოსახლეობა ძირითადად ლაზურია. ეს მშენებელი რასაა. ისინი კარ-გი მიწათმოქმედნი და გამოცდილი მეზღ-ვაურები არიან”. ცნობილი მკვლევარი ა. შუბინსკი აღნიშნავს, რომ “ტრაპიზონის მოსახლეობის ორი მესამედი ლაზურია”.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თურქულ ისტორიოგრაფიაში შაგი-ზადისპირეთის მთელი სამხრეთ-აღ-მოსავლეთი იწოდება ლაზისტანად და გვერდს ვერ უვლიან, რომ ლაზები განსხ-ვადებიან თურქეთში მცხოვრები სხვა ხალხებისგან თავიანთი ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთიანი ერთობით, ერთი, ანთროპოლოგიური იერსახით, ყოფა-ცხოვრებით, ტრადიციებით, ხასიათით, ფოლკლორული შემოქმედებით” და სხვა.

ცნობილია, რომ თურქეთის კანონებით თურქეთში მცხოვრები, მიუხედავად ეროვნებისა, ყველა თურქად ითვლება. ეს კანონი ლაზების თვითმყოფადობას აშკარა საშიშროების წინაშე აყენებს. თურქეთში ქართველთა გათურქება სწრაფი ტემპით მას შემდეგ წავიდა, როდესაც ყველას პი-რადობის მოწმობაში “თურქი” ჩაუწერეს.

როგორც ვიხსენებთ ანდრიაძე მითითებულ, ისეთ ეკლესია-ტაძრებს, როგორცაა იშხ-ანი და სხვები, გუმბათები ენგრევათ. ასე-თვე მდგომარეობაშია ქართული ქრის-ტიანული კულტურის სხვა უძველესი ცენტრები. ქართული ეკლესია-ტაძრების დიდი ნაწილი მენუშვილებმა გადაკეთებუ-ლი, ბევრში თურქი მეცხვარეები დგანან.

იკარგება ქართული ჯიშში. ძალიან უჭირთ თურქეთში მცხოვრებ ქართველებს (მესხები – ლაზ-მეგრელები), რომლებსაც არა აქვთ საშუალება, განათლება მიიღონ მშობლიურ ენაზე (გაზეთი “ჯორჯიან თაიში”, 2005 წელი, 16-23 ივნისი), კოლხურ-ლაზური კულტურა შეიძლება თანდათან გაქრობის საშიშროების ზღვარზე დადგეს, – წერს ვია ოქრობაგალი-ხეველი და გან-აკრობს: – “ლაზეთი (ცენტრით ტრაპი-ზონი), ძველი ბერძნული და ქართული წყაროებით, სამეგრელოდ იწოდება”...

სწორედ მეგრელებს, ხედმიწვენივან ასეთივე საღაპრადო დიალექტი აქვთ ერთიან ქართველური ენისა, როგორც ლაზებს, მხო-ლოდ ლექსიკაა ოდნავ განსხვავებული – ლაზურში თურქული სიტყვები შეხული. ლაზ-მეგრელებს დიალექტს ზანური ენა უწოდეს, თუმცა უფრო უპირადაა ვიხმაროთ ლაზურ-მეგრული, რათა არ მოხდეს ამ ხედიწვენივანი ერთი ტომის ხელოვნური დაყოფა. სახელმწიფოებრივად ეს ტერ-იტორიები კოლხეთის ნაწილი იყო (გია ოქრობაგალი-ხეველი, თურქეთში ლაზ-მეგრულთა მდგომარეობა კატასტროფულია, – გაზეთი “ჯორჯიან თაიში”, 2005 წელი, 16-23 ივნისი). წერილის ავტორი ამბობს, რომ მისი წერილი განკუთვნილია თურქეთში მცხოვრები მეგრულ-ლაზთათვის და თურქეთის ხელისუფლებისათვის).

კოლხური კულტურის საერთაშორისო ცენტრმა 2003 წელს გამოსცა გამომწვევი მენიერის პავლე ინგოროყვა “გიორგი მერჩულედან” ადგილი სახელწოდებით “ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა გამო”, რომლის გამოქვეყნება განაპირობა იმან, რომ დღესაც ლაზურ, ე.ი. კოლხურ კულტურაზე არასწორი ინფორმაცია ვრცელდება და, საერთოდ, ნაკლები ყუ-რადდება ექვევა ლაზეთის ისტორიას. “მით უმეტეს, – ამბობს პ. ინგოროყვა, – პირველი ქართველური სახელმწიფო კოლხა ერთ-ერთი უძველესთაგანია მსოფლიო სახელმწიფოთა შორის, ერთ-

ერთი ძირითადი მოდგმა არიან ლაზები, რომელთაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს საქართველოს სახელმწიფოს ისტორიაში. ამის დასტურად თუნდაც იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ “დაეთი-იან-სოლომონიან” ბაგრატიონთა სამეფო დინასტია სწორედ სპერდიან (ლაზთა მხრიდან) იყო წარმოშობით”.

პავლე ინგოროყვა მნიშვნელოვან ყუ-რადღებას აქცევს ჭანეთ-ლაზეთის (სამხრეთ კოლხეთის) ისტორიის ცალკეულ მხარეებს. მით უმეტეს, ამ საკ-ითხზე “საისტორიო მეცნიერებაში სრუ-ლიად მცდარი შეხედულებაა გამოთქ-მული”, – წერს პავლე ინგოროყვა.

მოგვეყვას ვრცელი ამონაწერი ინ-გოროყვას შრომიდან: ქართულ საისტო-რიო მეცნიერებაში გაგრძელებულია შეხედულება, რომ ჭანეთ-ლაზეთი თუმც ერთადერთად ქართველთა ქვეყანას წარ-მოადგენდა, პოლიტიკურად და სახ-ელმწიფოებრივად იგი მოწყვეტილი იყო საქართველოს.

პავლე ინგოროყვა აკრიტიკებს აღ-ნიშნულ დებულებას და აგრძელებს: მაგ-ალითად, თვით დიდად ავტორიტეტულ საისტორიო შრომებში ჩვენ გვხვდება ისეთი მტკიცებანი და მოჰყავს ადგილები ივანე ჯავახიშვილის შრომიდან: “მე-7 საუკუნიდან ქრისტეს წინ მიყოლებული შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირებსა და მის მოსაზღვრე ქვეყანაში არასდროს, თამარ მეფის ლაშქრობის გარდა ქართველების ბატონობას ფეხი არ შეუდგამს”... “ქართველებმა მხოლოდ XIII საუკუნის დასაწყისს ჩაიგდეს ეს ქვეყანა ხელში”... “მაგრამ იმის მაგივრად, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ქართველებზე დაშორებული და მოწყვეტილი ძმები ლაზები და ჭანები ქართველობისაგან მოეზრუნებინათ და დაპყრობილი ქვეყანა საქართველოს სამე-ფოსათვის მიმატებისა, თამარ მეფემ ტრაპი-ზონის სამეფო დააარსა და თავის ნათე-სავს აღექა კომნენს, ანდრონიკის შვილს უბოძა”... “თუმცა ლაზურ-ჭანურ შტოს ერთმა ნაწილმა დედა-ენა შეინარჩუნა, მა-გრამ ქართველი ტომების საერთო სახ-ელმწიფოს და საზოგადოებრივ ცხოვრე-ბას მოსწყდა და ამის გამო საქართველოს მერმინდელი ისტორიისათვის მათმა არ-სებობამ უნაყოფოდ ჩაიარა”.

ასევე, პავლე ინგოროყვა არ ეთანხმე-ბოდა სიმონ ჯანაშიასაც იმის გამო, რომ: “აფხაზეთის” ქვეყნის სამხრეთ საზღვარი არც კი აღწევდა ჭოროხს”, და ეს მაშინ, როდესაც, ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოს საზღვრებში შედიოდა არა თუ ჭოროხის ზონა, არამედ ჭოროხის სამხრეთით მდებარე რიხეს მხარეც და, აგრეთვე, ტრაპიზონის მხარე – ხალდია. პ. ინგოროყვა ასკენის: როგორც ირკვევა საისტორიო წყაროებიდან, ანტიკურ ხანაში, ჩვენი წელთაღრიცხვის წინა პერიოდში, რიხეს მხარე, ტრაპიზონის მხარესთან ერ-თად, ნაწილია კოლხეთისა (პავლე ინ-გოროყვა, ისტორიის საკითხთა გამო, თბილისი, 2003 წელი).

ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნეში რიხეს მხარე რომის იმპერიაში შედიოდა, ჩრდილოეთ ნაწილი – იბერიაში, სამხრეთი – ქართულ (ჭანურ) სამეფო-სამთავროს შე-მაღველობაში იყო გაერთიანებული სვანეთის სახელწოდებით (მაკროს-სანთა და შინოხთა სამეფო).

III საუკუნიდან IV საუკუნემდე აღ-ნიშნული მხარე ისევ არ შედის რომის იმ-პერიაში, არამედ იგი არსებობს იგივე ქარ-თულ-ჭანური სანეთის სამეფო-სამთავროს სახით, რომელშიც გაერთიანებულია რიხეს მხარეც. მხოლოდ VII საუკუნის 30-იან წლებში ბიზანტიამ დაიპყრო ეს მხარე, მა-გრამ ბიზანტიის მფლობელობაში დიდხ-ანს არ დარჩენილა და როდესაც VIII

საუკუნეში ჩამოყალიბდა დასავლეთ საქართველოს “აფხაზეთის” სამეფო, მას-ში შევიდა რიხეს მხარე (საკუთრივ ლაზია), აგრეთვე ტრაპიზონის მხარე (ხალდია).

დიდ მეცნიერს აღწერილი აქვს ახალი წელთაღრიცხვის VIII საუკუნემდე “საკუთრივ ლაზიას ან რიხეს მხარის ის-ტორია”:

ხოლო VIII საუკუნიდან XVI საუკუნემდე რიხეს მხარე – საკუთრივ ლაზია, საქართველოს განუყოფელი ნაწ-ილია, გარდა იმ მოკლე პერიოდისა, როდე-საც მტრები ახერხებდნენ მის მოწყვეტას საქართველოდან.

მართალია, ისტორიულ წარსულში, – ამ-ბობს პ. ინგოროყვა, – საქართველომ ვერ შესძლო მთელი მოცულობით ლაზეთის ტერიტორიის დაცვა, აგრეთვე მოახ-ერხეს ხანგრძლივად მიეტაცათ ლაზ-ჭანეთის ქვეყნის დასავლეთი ნაწილი. მა-გრამ იმის მტკიცება, რომ ლაზ-ჭანეთის ქვეყანას არ ჰქონდა საქართველოსთან სახელმწიფოებრივი კავშირი, არ შეეფერება სინამდვილეს. ჭანეთ-ლაზეთს საქართველოსთან აერთიანებს ისტორი-ული წარსული, სახელმწიფოებრივი კავშირი. ასე რომ, პავლე ინგოროყვას აღ-მოსავლეთ და დასავლეთ საქართველო ერთიან სახელმწიფოდ მიანდა – ერთი ქვეყანა იყო.

პავლე ინგოროყვა ჭანეთ-ლაზეთის (სამხრეთ კოლხეთის) ისტორიულ სახ-ელწოდებებს შემდეგნაირად ხსნის: ჭანეთ-ლაზეთი (ლაზია) და ქალდია (ხალდია) ნაწარმოებია ქართველ ტომთა სახელ-წოდებიდან: ჭანი, ლაზი, ქალდი (ხალდი). ამათგან, ჭანეთი არის ზოგადი სახელ-წოდება მთელი სამხრეთ კოლხეთისა.

ლაზია არის სახელწოდება ქვეყნის აღ-მოსავლეთ ნაწილის, რიხეს მხარისა (ამავე მხარეს ეწოდება აგრეთვე ზღვისპირა კლარჯეთი). ქალდია (ხალდია) არის სახ-ელწოდება ქვეყნის ცენტრალური ნაწ-ილისა – ტრაპიზონის მხარისა.

ქვეყნის დასავლეთ ნაწილი – კერასუნ-ფარნაკის მხარე ქართულ წყაროებში მოიხსენიება ზოგადი სახელწოდებით – პონტოს ადგილი.

სომხურ წყაროებში, სომხურ გე-ოგრაფიაში ლაზეთი (“ლაზიე”), ხალ-დია (“ხატიე”), ჭანეთი (“ჭანიე”) ითვლებიან ნაწილად “ეგრისის” (ეგრი-სის) ანუ კოლხეთის ქვეყნისა, ხოლო კერასუნ-ფარნაკის მხარის მიმართ ხმარობენ ზოგად სახელწოდებას – პონტო.

ბერძნული წყაროების მიხედვით, – რო-გორც მითითებულ პავლე ინგოროყვა, – ხალდია ტრაპიზონის მხარეა, მაგრამ ცალკეულ პერიოდში იგი აერთიანებდა ტერიტორიებს ჭოროხიდან თერმოლონამდე, ამიტომ სახელწოდება ხალდია გვხვდება, როგორც ზოგადი სახელწოდება მთელი სამხრეთ კოლხეთისა.

ბერძნული ცნობებით, ლაზეთი, ლაზია კა-ადმინისტრაციულად დასავლეთ საქართვე-ლოს უკავშირდება, მოიცავს აგრეთვე ტრაპიზონის მხარეს, რიხეს მხარეს. ბერძნული წყაროები ტრაპიზონის მეფეებს უწოდებენ: მთავარი ლაზთა, მფლობელი ლაზთა.

ზოგიერთი ბერძნული წყაროდა ავ-ტორი (ლაონიკოს ხალკოკონდილესი) ტრაპიზონის მეფეებს მოიხსენიებენ სახ-ელწოდებით: კოლხეთის მეფე, კოლხეთის მთავარი.

შუა საუკუნეებში ლაზეთ-ჭანეთი, ანუ სამხრეთ კოლხეთი განიყოფებოდა სამ მთავარ სამხარეო ერთეულად: რიხეს მხარე (აღმოსავლეთი ჭანეთ-ლაზეთი) – საკუთრივ ლაზია, ზღვისპირა კლარჯეთი; ტრაპიზონის მხარე (შუა ჭანეთ-ლაზეთი) – საკუთრივ ქალდია (ხალდი); კერასუნ-ფარნაკის მხარე (დასავლეთი ჭანეთ-ლაზეთი) – ხალიბია, ხალიბია-ტობარენია.

პავლე ინგოროყვა აღნიშნავს, რომ ნი-გაღის პროვინციაში (კლარჯეთის დასავლეთით), სხვა ქართველურ ტომებთან ერთად, ცხოვრობდნენ მეგრელები, ხოლო სპერში მოსახლეობდნენ ჭანები. შემდეგ წერს: “არაა ინტერესმოკლებული აღვნიშ-



ნოთ, რომ ეს მრავალტომიანობა, ქართლ-იბერიული, მეგრული და ჭანური მოსახლეობის არსებობა ჭოროხის ხეობაში, ნიგალსა და სპერში, აღბეჭდილ-ია თვით მდინარე ჭოროხის ისტორიულ სახელწოდებაში” და მიუთითებს ამ სახ-ელწოდებებზე: “მეექვსე მხარე კლარ-ჯეთის, ეს არის, როგორც დადგენილია, ნაწილი ისტორიული ჭანეთ-ლაზეთისა; ამ მხარეში ისტორიულად იყო და დღესაც არის ლაზური (მეგრულ-ჭანური ჯგუფის) მოსახლეობა”.

პავლე ინგოროყვას მოჰყავს სომხურ უს-ახელო გეოგრაფიაში (VII-IX საუკუნეების) წარმოდგენილი დასავლეთ საქართველოს აღწერილობა (რომელიც, როგორც პ. ინ-გოროყვა ამბობს, ქართველ მკვლევართა ყურადღების გარეშე არის დარჩენილი), რომელშიც ნათქვამია: “კოლხეთი, ე.ი. ვგრი, არის ქვეყანა აზიისა და მდებარეობს პონტოს ზღვიდან სარმატიამდე, და მდ-ინარე დრაკონიდან ვიდრე კავკასიის მთე-ბამდე და მის შტომდე (ლიხამდე), რომელ-იც ჰყოფს მას ივერიიდან.

- და იგი განიყოფა ოთხ ქვეყნად: მარ(ტ)ველი-ვი; ბ) ვერვეიკი, რომელ არს საკუთრივ ვგრი, ფასისის მდინარის მოსაზღვრედ, ამავე სახელწოდების (ფასისის) ქალაქი-თურთ; გ) ლაზი-ვი; დ) ჭანი-ვი, რომელ არს ხალტეთი (ხალდია)...

აქვს ხუთი ქალაქი: იანი, კოტა (ქუთაისი), როლოპოლისი (ვარდციხე), ათინა, რიზონი და სხვა მრავალი ნაუთსადგურნი, ე.ი. ზღვის სანაპირო დაბა – ქალაქნი, რომელთა შორის არს ტრაპიზონტი”.

პავლე ინგოროყვა ასკენის, რომ ტრაპი-ზონის მხარეს ქართულ წყაროებში ეწოდება, როგორც ხალდია, ქალდია, ისე “ქვეყანა მეგრულთა” ანუ “ქვეყანა სამეგრელოთა”. ასევე ექვითიე მთაწმინ-დელის (958-1028) მიხედვით ტრაპიზონის მხარეს ეწოდება “სოფელი (ქვეყანა) მეგრულთა”. ვიორგი მთაწმინდელიც (1009-1065) მითითებულ, რომ ტრაპიზონის მხარეს ეწოდება ქვეყანა სამეგრელოსი.

ჩვენ ვრცლად შევჩერდით დიდი მეც-ნიერის პავლე ინგოროყვას “გიორგი მერ-ჩულეზე”, რომელშიც უდიდესი მეც-ნიერული სიღრმით და დიდი ობიექტურ-ობით არის განხილული ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხები. ავტორის დებულებ-ები, დასკვნები, განზოგადებები ყოველთვის სწორი და უტყუარია. ის ყველა ფაქტს, მოვლენას თავის სახელს არქმევს, არ ერიდება გააკრიტიკოს (კეთილი ტონით, კეთილშობილურად) გამოჩენილ მეცნიერთა ზოგი არასწორი შეხედულებანი.

პავლე ინგოროყვას შრომიდან ნათლად ჩანს, რომ ჭანეთ-ლაზეთი იყო საქართვე-ლოს განუყოფელი ნაწილი როგორც ეთ-ნიკურად, ისე ისტორიული წარსულით და ერთიანი ქართული სახელმწიფოს პირველი მესაძირკველი.

კლიმენტი შელია, აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

ბაზეთი "ილორი" უძველესი რეპრეზენტაცია "მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები"

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა ადამიანს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასობით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვიხიბვნიან თავიანთი საფეხბურთო სამეორეულებო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იგადგა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებელიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაულო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოველინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მანამდე წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების სსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი — ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა იწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აიტკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუშინიკები", "ოლიმპია-სტადიონი", "შემადენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.

ამ რუბრიკით ჩვენ გააცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

ჟოზე ალტაფინი,

დაიბადა 1938 წლის 27 აგვისტოს, ბრაზილიაში, თამაშობდა ბრაზილიის "პალმეირასში" და "სან-პაულუში", იტალიის "მილანიში", "ნაპოლიში" და "იუვენ-

ტუსში", შვეიცარიის "კაისოში".

მთელი თავისი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში ჟოზე ალტაფინი იწვევდა როგორც მაყურებელთა და ფეხბურთის სპეციალისტების დიდ აღფრთოვანებას, ასევე საკმაოდ დიდ გაუგებრობასაც. იგი გახლდათ მიზანდასახული და მოწინააღმდეგის კარზე ორიენტირებული შედეგიანი თავდამსხმელი, რომელმაც თამაში დაიწყო სან-პაულუს "პალმეირასში" და კარიერის დი-წვებისთანავე დაიხსნა მეტსახელი "მაცოლა", რადგან თამაშის მანერით ძალიან წააგავდა მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ამ უდიდეს ფეხბურთელს. იგი მონაწილეობდა 1958 წელს შეეცაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც მაშინვე შეიძინა "მილანმა". მან მოქალაქეობაც გამოიცვალა და უკვე 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე იტალიის გუნდის შემადგენლობაში მოგვევლინა. ერთი წლის შემდეგ იგი "მილანის" შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა, სადაც 14 ბურთი გაიტანა, მათ შორის, ორი ბურთის ავტორი იყო "ბენფიკასთან" გამართულ ფინალურ მატჩში, რომელიც ლონდონში "უემბლის" სტადიონზე შედგა.

"მილანიდან" წასვლის შემდეგ მან ომარ სივორის-თან ერთად აშკარად ააღორძინა "ნაპოლი", შემდეგ კი "იუვენტუსის" ვარსკვლავად იქცა. ამჟამად ალტაფინი იტალიის ტელევიზიის საფეხბურთო კომენტატორი და ანალიტიკოსია.

ამანსიო ამარო ვარელა,

დაიბადა 1939 წლის 7 ოქტომბერს, ესპანეთში, თამაშობდა "ლა-კორუნიასში" და მადრიდის "რეალში". 1962 წელს მადრიდის "რეალს" საკმაოდ სავარძლო პოზიციამა გაუჩნდა. მას უნდა მოეძებნა ეფექტური თავდასხმელი ღუის დედ სოლის შემცველი, რადგან ეს უკანასკნელი იტალიის ერთ-ერთმა საფეხბურთო კლუბმა შეიძინა. მალე ეს საკითხი გადაწვედა და ქალაქ ლა-კორუნიის გუნდ "რეალ დეპორტივოდან" მოწვეული იქნა ამანსიო, რომელიც იქ თავდასხმის მარჯვენა ფლანგზე თამაშობდა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა მიკელ მუნოსმა იგი ჯერ მარჯვენა ინსაიდის ადგილზე დააყენა,

სადაც ნახევარმცველად იყენებდა, შემდეგ კი თავდასხმაში გადაიყვანა. ამანსიო, რომელიც შესანიშნავი ტექნიკითა და დრიბლინგის განუყოვრებელი უნარით გამოირჩეოდა, მალე დამკვიდრდა გუნდში და დიდ წარმატებებსაც მიაღწია. 1964 წლიდან 1971 წლამდე მან ორმოცდაათი მატჩი ჩაატარა ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში. "რეალის" შემადგენლობაში ათჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი და ოთხჯერ დაეუფლა ესპანეთის თასს. 1968 წელს იგი მსოფლიო ნაკრების შემადგენლობაში იქნა მოწვეული, რომელიც მაშინ ბრაზილიის ნაკრებს შეხვდა საიუბილეო მატჩში.

ამანსიოს კარიერის კულმინაცია გახლდათ ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ფინალში გამარჯვება 1964 წელს, როცა მადრიდის "რეალმა" საკუთარ სტადიონ "სანტიაგო ბერნაბეუზე" იხიმა ეს მართლაც უდიდესი წარმატება.

ამარილდო ამარუ ტავარეში,

დაიბადა 1939 წლის 29 ივნისს, ბრაზილიაში, თამაშობდა ბრაზილიის "პალმეირასში", იტალიის "მილანსა" და "ფიორენტინაში".

ამარილდო ფიზიკურად არც თუ მთლად ძლიერი ფეხბურთელის შთაბეჭდილებას სტოვებდა, რაც მცდარი აზრი გახლდათ, რადგან იგი მეტეორიულად შემოიჭრა მსოფლიო ფეხბურთში მას შემდეგ, რაც 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე პულემ ტრავმა მიიღო და თამაში ვეღარ გააგრძელა. ეს ამბავი მისდა მოულოდნელად მოხდა, როცა ახალგაზრდა ფეხბურთელი ბრაზილიის ნაკრებში ჩართეს ესპანეთის უძლიერესი გუნდის წინააღმდეგ. ბრაზილიელები ამ მატჩს აგებდნენ, მაგრამ ამარილდოს მიერ თამაშის ბოლო წუთებზე გატანილი ორი გოლის წყალობით მოიგეს ანგარიშით 2:1. ჩეხეთთან გამართულ ფინალურ მატჩში ბრაზილიელებმა ასევე ამარილდოს გოლის წყალობით მოიგეს და მსოფლიო ჩემპიონატები გახსნენ. მომდევნო წელს იგი "მილანმა" შეიძინა, შემდეგ კი "ფიორენტინაში" გადავიდა და 1969 წელს იტალიის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ ამარილდომ იტალიის მოქალაქეობა მიიღო და "ფიორენტინის" ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელად მუშაობდა.

გიორგი ჯალალანია

იხარო

- იუმორი
- ***
 - ნეტავი ჩემს გამოგონებას დაბიპატენტებენ?
 - რა გამოიგონე ასეთი?
 - მისი მშვეობით კედელში გადაიხარ.
 - ვაა, რა ჰქვია?
 - კარები.
 - ***
 - ორი დაქალი ხვდება ერთმანეთს:
 - წარმოგიდგენია, ჩემს უსინდისო ქმარს სილამაზის სალონისათვის 300 დოლარი ვთხოვე.
 - მერე, არ მოგცა?
 - უარესი! შემომხვდა, ამათვალისწინებდა რამდენად და 500 დოლარი მომცა.
 - ***
 - ოფიციალტ, რომელ ღვინოს გეირჩევთ თქვენს საფირმო კერძთან ერთად?
 - ქაღალდი ერთად ხართ?
 - დიახ.
 - აი, იმასთან, ტუალეტში რომ გავიდა ახლახან?
 - დიახ.
 - მაშინ, არაფი შეუკვეთე და რაც შეიძლება ბევრი!
 - ***
 - ბიჭმა თითი დაიზიანა და ექიმთან მივიდა. ექიმი ქალი ეუბნება:
 - გაიხადეთ.
 - ეგ რა საჭიროა, მე ხომ უბრალოდ თითი დავიზიანე?
 - უცებ გასახდელიდან ესმის კაცის ხმა:
 - ეგ რა არის, მე საერთოდ ტელეფონის შესაკეთებლად მოვედი.

ბანათლების ახალი რეფორმა მომავალი ზონდერებისთვის

რეზო მიშველაძე: „ლომაია და ნოღია ქართველობის პირწავარდნილი მტრები არიან, გვარამია კიდევ რაღაცას გავდა, ახლა კიდევ ეს შაშინი თუ მიშინი, ეს „ბლანეუანი“ ბეკეა...“

სახიფათო სახეს იძენს რეფორმის ახალი ტალღა, რომელიც განათლების სისტემაში 2010-2011 წლებში უნდა განხორციელდეს. როგორც ყოველთვის, ამ რეფორმების ავტორი ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალია, მისი შემსრულელები კი, ამ შემთხვევაში რაოდენ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, — ძალიან ჩინოვიკები.

გაზეთ „ახალი განათლების“ ამსწინადეულ ნომერში სიბობს საჯარო სკოლის მეთურმეტე კლასელის წერილი დაიბეჭდა მიმდინარე რეფორმის შესახებ. წერილში ავტორი სახელმძღვანელოებზე საუბრობს: „შეიძლება ამ საკითხში დიდიგანტი უფრო მეთქმის, ვიდრე კომპეტენტური, მაგრამ ამ წერილის დაწერის იმან გადამაწვევტინა, რომ ამ თემაზე მე-12 კლასის მოსწავლეზე ბევრად უფრო არაკომპეტენტური ხალხი საუბრობს, თანაც ისეთი თავდაჯერებით, რომ ვერ შეეკამათები.“ კონკრეტულად ვის გულისხმობდა ავტორი არაკომპეტენტურ მოსაუბრეებში, უცნობია, მაგრამ ასეთი დასკვნა მიმდინარე მოვლენების ფონზე ლოგიკურია. ბათუმში პედაგოგებთან შეხვედრისას რეფორმის განსახორციელებლად არა მარტო განათლების სამინისტრო, არამედ მთელი მინისტრთა კაბინეტი დაირაზმა. ამ პროცესში აქტიურად ჩაერთო თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია, შს მინისტრის მოადგილე ვკა ზღუდაძე და ჯანდაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიციანი.

პედაგოგები ამ საკითხზე დიდ საუბრისგან თავს იკავებენ. თუმცა მიანჩიანთ, რომ ახალმა შეფასების სისტემამ, რომელიც 10 გამოცდის

ჩაბარების შედეგებით მოხდება, შესაძლოა კატასტროფა გამოიწვიოს. რადგან ათი გამოცდისგან, ერთშიც რომ ჩაიჭრას, ატესტატს ვერ მიიღებს. საყუველთაო უმუშევრობის ფონზე სკოლადამოაერებულთა დიდი ნაწილი უსაქმოდ და უფუნქციოდ დარჩება. რაც შეეხება სამხედრო სწავლებას და სამოქალაქო თავდაცვას, პედაგოგების განცხადებით, ეს სახლე არ არის, რადგან ეს საგანი ადრეც იხსავლეუბოდა. სახლეა ის, რომ ამ პროცესს ძალიან უწყებები გაუწვევენ მონიტორინგს. პედაგოგები ამ საკითხზე ღუქან, საზოგადოების გარკვეული ნაწილი კი მიინეგეს, რომ რეფორმების ახალი ეტაპი არა თუ სკოლაში სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას შეუწყოფს ხელს, არამედ საშიში ტენდენციის ჩამოყალიბებასაც.

რეზო მიშველაძე, მწერალი: რა ხდება, გასამხედროებული ქვეყანა უნდა ჩამოაყალიბონ თუ ბავშვობიდანვე ზონდერბობიგადებისთვის მოამზადონ მომავალი თაობა? ამ ფორმით უნდათ აკონტროლონ ყველა და ყველაფერი, როგორც ადრე „კარგზე“ აკონტროლებდა. ამ მთავრობის მიზანია, როგორმე ორიათასცამეტ წლამდე მიათროს საკუთარი თავი. მერე, ალბათ, შეცვლიან კონსტიტუციას და მორიგებენ საკუთარ თავზე. არ შეიძლება ექვსი-შვიდი კაცი მთლიანდერობას შეეწიროს მომავალი თაობა და ქვეყანა.

სააკაშვილს მოთმინების უნარი არ აქვს, მაგის ტენიში როდის რა მოიხარშება, კაცმა არ იცის. ეს არის გაუნათლებელი, უკონტროლო კაცი, რომელსაც შეუძლია, როცა უნდა, რაც უნდა, წამოსროლოს და მისი ამქარიც მაშინვე მისი ნათქვამის შესრულებას იწყებს. ესენი ხელისუფლებაში მოვიდნენ იმიტომ, რომ დაანგრინე ყველაფერი ქართული. განათლების სისტემაში გასატარებელი რეფორმების მიღება ასე ნაქარვედ, ერთ საათში როგორ შეიძლება? მაგრამ ესენი არავის უსმენენ, რასაც უნდათ, იმას აკეთებენ. ჯერ კიდევ კახა ლომაია ამბობდა:


„ძალი ყვეს, ქარავანი მიდისო“. ძალი ერთ იყო და ქარავანი — ხელისუფლება. ახლა ამბობენ, რომ თურმე ახალ თაობას სხვა ღირებულებები აქვს. ამ ღირებულებების გამო ტრიალებს ამდენი უბედურება ჩვენს ქვეყანაში. ზოგადად ვის ხელში იყო განათლების სისტემა, რაც ესენი მოვიდნენ ხელისუფლებაში? ლომაია და ნოღია ხომ ქართველობის პირწავარდნილი მტრები არიან. გვარამია კიდევ რაღაცას გავდა. ახლა კიდევ ეს შაშინი თუ მიშინი, ეს „ბლანეუანი“ ბეკეა... დაწეროს, აბა, ქართულად ერთი ნებისმიერი თემა! მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ, თუ დაწერა, ეს ნამუშევარი იქნება საშინელეება.

საკაშვილი — სკოლაში პრეზიდენტობანა ვითამაშოთ. თეთონ, კარგა ხანია, თამაშობს პრეზიდენტობანას: კარგ დროს ატარებს; მე-ძაკვი მაგას არ აკლია, „მისაუსტკა“ და ცოგურები; დადის ხან ბოდრუმში, ხან სად და დაყვება მთელი პარამხანა.

სასულიერო მოღვაწეი არ შეიყვანეს სკოლაში, რელიგიური უმცირესობების უფლებები შეილახებო. ახლა სამხედროები და „კარგ ბეშნიკები“ შეპყავთ. ასე აწეობთ და იმბტომ. ცნობილი ამბავია, რომ ქვეყანას „თავისუფლების ინსტიტუტი“ მართავს და ახალ დიელოლოგიას ნერგავს. აქედან გამომდინარე, მათთვის მიუღებელია ყველანაირი სულიერება და უნდათ, რომ ეს ჩაახშონ მომავალ თაობებში. თუ არ გამოუგნახილდით, ერთს თეთოვადარჩენის იმუნტეტი დაქვეითებუელია და ყველაფრის ღირსები ვიქნებით, რასაც ეს ხელისუფლება დაგვმართებს.

უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტმა ბათუმში გამართულ შეხვედრაზე აღიარა, რომ სახელმწიფომ განათლების სისტემას ჯეროვნად ვერ მიხვდა. ამის გამო რეფორმებორებმა თანამდებობები კი დატოვეს, მაგრამ ისინი არავის დაუსჯია. პირიქით, სხვა, გაცილებით მაღალანაზღაურებლად თანამდებობებზე დაინიშნენ.

ნანა ლალაბიშვილი

 <p>377198796009</p> <p>ახტოროვას ეპოსტროვათ პასუხისმგებლობა ფაქტობისა და მონაცემების სიზუსტეზეა</p>	<p>რედაქციის მისამართია:</p> <p>თბილისი,</p> <p>ზანდუკელის ქუჩა №1</p> <p>სარეგ.№01018002930</p>	<p>მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალალანია</p> <p>მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია</p> <p>ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოლოყაშვილი</p> <p>ბაზეთის მენეჟერი: ზურაბ ქობალია</p>	<p>www ilori.ge</p> <p>e-mail: elisabetthal@yahoo.de</p> <p>რედაქციის განთავსება</p> <p>899-57-33-22</p> <p>893-51-01-71</p> <p>899-34-37-27</p>
---	---	--	---